“მაჭახელას პროდუქტი”-ს ბრენდის

(ნიშნის მინიჭების) კომისიის მუშაობის რეგლამენტი

§ 1 ზოგადი დებულებები

1. ეს რეგლამენტი განსაზღვრავს “მაჭახელას პროდუქტი”-ს ბრენდის (ნიშნის მინიჭების) კომისიის მუშაობის დეტალურ წესებსა და პროცედურებს. კომისია არის საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შეიქმნა ასოციაციის - „შავი ზღვის ეკო აკადემია“ მმართველობის მიერ. იგი წყვეტს ნიშნის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ანიჭებს ან უარყოფს ნიშნის - „მაჭახელას პროდუქტი” გამოყენების უფლებას.
2. კომისია მოქმედებს ნიშნის რეგლამენტის შესაბამისად. ყველა ტერმინი და განსაზღვრება გაგებული უნდა იყოს ზუსტად ისე, როგორც განსაზღვრულია ნიშნის რეგლამენტში.
3. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კეთილსინდისიერი, საზოგადოებაში ავტორიტეტული და სასჯელის არმქონე პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და/ან გამოცდილება ადგილობრივი მდგრადი განვითარების, პროდუქტისა და მომსახურების განვითარების, ტურიზმის, რესურსებისა და ღირებულებების დაცვის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროებში.
4. კომისიის წევრთა სია ქვეყნდება ვებგვერდზე www.bsea.ge www.mpl.ge
5. კომისია შედგება 5-იდან 9 წევრამდე.
6. კომისიის მანდატი გრძელდება 3 წელი.
7. ადმინისტრაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას კომისიას უწევს ნიშნის მფლობელი - ასოციაცია “შავი ზღვის ეკო აკადემია”

§ 2 კომისიის ამოცანები

1. კომისიის ამოცანებია:
   - წარმოდგენილი განაცხადების შინაარსობრივი შეფასება;
   - რეკომენდაციების გაცემა ნიშნის მფლობელისთვის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების ან უარყოფის შესახებ;
   - რეკომენდაციების გაცემა კანდიდატებისთვის;
   - ნიშნის მომხმარებელთა ანგარიშების შინაარსობრივი შეფასება;
   - რეკომენდაციების გაცემა ნიშნის მფლობელისთვის ნიშნის გამოყენების უფლების ჩამორთმევის შესახებ რეგლამენტის ან ნიშნის მინიჭების ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში;
   - ნიშნის მომხმარებლებისა და კანდიდატების მონიტორინგი;
   - რეკომენდაციების გაცემა ნიშნის მფლობელისთვის ტიტულის „მაჭახელას პროდუქტი“-ს მინიჭების შესახებ.

პოლონეთის დახმარება
Fundacja EkoRozwoju
Black Sea Eco-Academy
დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

- სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;
- ნიშნის "ელჩი"-ს როლის შესრულება და მისი პოზიტიური იმიჯის შექმნაში წვლილის შეტანა.

2. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან:
   - აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომისიის საქმიანობაში;
   - ხელი შეუწყონ ბრენდის/ნიშნის მიზნების შესრულებას;
   - მოახდინონ ბრენდის/ნიშნის პოპულარიზაცია ხეობაში და მის ფარგლებს გარეთ;
   - შეასრულონ /ნიშნის "ელჩი'-ს როლის;
   - საკონსულტაციო მხარდაჭერის გაუწიონ მწარმოებლებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და ორგანიზატორებს.

§ 3 კომისიის მუშაობის ორგანიზაციული მხარე

1. კომისია თავისი წევრებისაგან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.
2. კომისიის წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობასა და სხდომებში, ასევე ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია მომხმარებლებისა და კანდიდატებისათვის.
3. წევრები ადასტურებენ თავიანთ მონაწილეობას დასწრების სიაზე ხელმოწერით.
4. სხდომებს იწვევს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მდივანი.
5. კომისია წელიწადში იკრიბება მინიმუმ ორჯერ.
6. სხდომის თარიღის შესახებ წევრები მიიღებენ შეტყობინებას ელ-ფოსტით მინიმუმ 7 დღით ადრე.
7. სხდომები დახურულ ფორმატში ტარდება.
8. წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობა და ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას თავი შეიკავონ განაცხადის შეფასებისგან.
9. კომისიის წევრები არ იღებენ ანაზღაურებას.
10. წევრი შეიძლება მოიხსნას 3 გაუმართლებელი არდასწრების ან რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში.
11. წევრი იხსნება კომისიის წინადადებით ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემია"-ს მმართველობის მიერ.
12. კომისიის შემადგენლობა შეიძლება შეივსოს განაცხადებისა და მოწვევების საფუძველზე.
13. შემადგენლობა დამტკიცდება ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემიის"-ს მმართველობის მიერ.
14. კომისიამ შეიძლება მიმართოს ექსპერტებს და შექმნას თემატური კომისიები.
15. სხდომებში შეიძლება მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრებიც.
16. კომისიის წევრს შეუძლია დატოვოს კომისია საკუთარი განცხადების საფუძველზე

პოლონეთის დახმარება
Fundacja EkoRozwoju
Black Sea Eco-Academy
დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

§ 4 განაცხადების შეფასების წესი

1. კომისია განაცხადების შეფასებას ახორციელებს შეფასების ფორმის საფუძველზე.
2. კომისია აფასებს განაცხადებს ნიშნის კრიტერიუმების მიხედვით.
3. შეფასება გულისხმობს 0-დან 5 ქულამდე მინიჭებას თითოეულ კრიტერიუმში.
4. შეფასებების საფუძველზე ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემია"-ს ოფისი ამზადებს ჯამურ შედეგებს და გადასცემს კომისიას.
5. კომისია შედეგების გაცნობის შემდეგ ღებულობს გადაწყვეტილებას:
   - ნიშნის მფლობელს ნიშნის მინიჭებისა და ხელშეკრულების დადების რეკომენდაციის მიცემის შესახებ;
   - რეკომენდაციის გაცემის და მისი შესრულების ვადის დადგენის შესახებ; ან
   - განაცხადის უარყოფის შესახებ.
6. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, მინიმუმ 2/3 წევრთა დასწრებით.
7. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით, თუ ეს ვერ მოხერხდა – გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
8. გადაწყვეტილებებს ხელს აწერს თავმჯდომარე ან მდივანი (მისი არყოფნის შემთხვევაში).
9. გადაწყვეტილებები გადაეცემა ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემია"-ს მმართველობას საჯაროობისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

§ 5 საბოლოო დებულებები

1. კომისია განაცხადების შეფასებისას ხელმძღვანელობს სიზუსტით და ობიექტურობით.
2. შეფასებისა და გადაწყვეტილებების შესახებ იწერება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ყველა მონაწილე წევრი.
3. თავმჯდომარემ შეიძლება მოითხოვოს ოქმის შედგენა სხვა შემთხვევებშიც.
4. კომისია შეიძლება მუშაობდეს დისტანციურად და გადაწყვეტილებები მიიღოს ელ-ფოსტის საშუალებით.
5. რეგლამენტით არარეგულირებული საკითხების გადაწყვეტას ახორციელებს ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემია"-ს მმართველობა.
6. რეგლამენტის ცვლილებებს ახორციელებს ასოციაცია "შავი ზღვის ეკო აკადემია"-ს მმართველობა საკუთარი ინიციატივით ან კომისიის წინადადებით.

პოლონეთის დახმარება
Fundacja EkoRozwoju
Black Sea Eco-Academy
დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.